№ 25 — 1877—1898 — № 25

ოთხშაბათი, 4 თებერვალი, 1898 წ.

# ივერია

ოთხშაბათი, 4 თებერვალი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 8 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 9 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**კნეინა აგათა ელიზბარის ასული შერვაშიძისა** შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელის ქმრის, სამსახურს გარეშე მყოფის

**გენერალ-ლეიტენანტის თ. გრიგოლ ალექსანდრეს ძის შარვაშიძისას**

ქ. სოხუმში 2 თებერვალს. მიცვალებულს დაჰკრძალავენ 6 თებერვალს.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 5 თებერვალს,

**ბენეფისი ბ. შათირიშვილისა**

ქართულის დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება

**ავაზაკები**

დრამა 5 მოქმ. თხზ. შილერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გარგარელი, ბ-ნნი მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი **ქ. მესხი.**

ამ მოკლე ხანში იქნება ბენეფისი კ. მესხისა.

**ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის გამგეობისაგან** 14 თებერვალს, 1898 წ. დანიშნულია

**საზოგადო კრება**

ქართველთა ამხანაგობისა.

განსახილველი საგნები:

1. ანგარიში წარსულის 1895 წლიდგან.

2. არჩევანი ამხანაგობის წარმომადგენელისა (გამგესი), ხაზინადარისა და მდივნისა.

(3—6.—1)

### მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ ზოდპორუჩიკობა მისის იმპერატორობითის უმაღლესობის დიდის მთავრის ალექსი ალექსანდრეს მის სახელობის მე-77 ტენგინის ქვეითი ზოდპრაპორშჩიკებს ჯაყელს, თავ. ჯავახიშვილს, თავ. აფაქიძეს და ჯაფარიძეს.

გადაყვანილ იქმნა მე-39 არტილერიის ბრიგადის შტაბს-კაპიტანი თავ. აბხაზი—კავკასიის გრენადერთა მისის იმპერატორობითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის არტილერიის ბრიგადაში.

## ახალი ამბავი

—

∴ 2 თებერვალს, დრამატიულის საზოგადოების სასარგებლოდ, უგანათლებულესის კნეინა თამარა გრუზინსკის დიასახლისობით გამართულმა საცეკვაო საღამომ მშვენივრად ჩაიარა. საღამოს საკმაო ხალხი დაესწრო. ლეკურსა და ევროპიულს ცეკვას დასასრული არა ჰქონდა. საზოგადოება დილის ხუთ საათზედ დაიშალა. წმინდა შემოსავალი 1,500 მანეთამდე იქმნება.

∴ გუშინ-წინ, 2 თებერვალს, ავჭალის იაფ-ფასიან სასადილოს სადგომში, სცენის მოყვარეთ სახალხო წარმოდგენა გამართეს. ითამაშეს ავ. ცაგარლის ოთხ-მოქმედებიანი პიესა: „ციმბირელი“. ზოგიერთმა სცენის მოყვარეებმა თავიანთი როლები ისე მშვენივრად შეასრულეს, რომ ნამდვილ არტისტებს არ ჩამოუვარდებოდნენ. საზოგადოდ პიესამ, რამდენადაც უბრალო სცენა და ღარიბული მოწყობილება ნებას აძლევდა, საუკეთესოდ ჩაიარა. წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო, ბევრი უადგილობისა გამო უკან დაბრუნდა.

∴ სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, რომ საკრედიტო ნაწილის ცალკე კანცელარიამ შეიმუშავა პროექტი ტფილისისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკებში ცვლილებათა შემოღების შესახებაო. ეს პროექტი ახლო მომავალში სახელმწიფო საბჭოს გარდაეცემა განსახილველადაო.

∴ „პარუჩიკის“ თავ. სვიმონ ჯორჯაძის საქმეს, რომელსაც კაცის მოკვლის ბრალი ედება, კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლო 17 თებერვალს განიხილავს.

∴ თავ. ნ. დიასამიძის მოკვლის საქმეს ტფილისის სამოსამართლო პალატა განიხილავს 17 თებერვალს.

∴ ტფილისის ნაფიც ვექილთა შორის ლაპარაკია ატეხილი იმის შესახებ, რომ კარგი იქმნება ტფილისის ოლქის სასამართლოსთან ნაფიც ვექილთა საბჭო იქმნეს დაარსებულიო.

∴ უმაღლესმა მთავრობამ უკვე გადასწყვიტა ყარსის ოლქისა და ქუთაისის გუბერნიის თავისუფალ მამულებზედ დაასახლოს რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან გადმოსახლებული გლეხები. ამ გარდაწყვეტილებას დაადგა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი კავკასიის მთავარ-მართებელთან მოლაპარაკების შემდეგ.

∴ სატახტო ქალაქების გაზეთები სწერენ, რომ სახელმწიფო საბჭომ ნება დართო შავის ქვის მწარმოებელთა კრებას განკარგულებაში გარდაეცეს ის ნახევარი კაპეიკი, რომელიც შავ ქვას გარდასახადად ადევსო. კრებასვე გარდაეცემა წინა წლების შეგროვილი გარდასახადი 1894 წ. დაწყებული.

∴ ხმოსანი ნ. ი. თამამშევი, რომელმაც მოხსენება წარუდგინა ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს, საბჭოს ურჩევს ობოლთა სასამართლოს მოსთხოვეთ უშვილოდ დახოცილთა მამულ-დედული, რადგან ეს მამულები ქალაქის საკუთრებად უნდა ჩაირიცხნენო.

∴ წელს გაზაფხულდება თუ არა, მაშინვე მუშაობას დაიწყებენ დ ბო-

## ფელეტონი

—

### ყაზბეგის მწვერვალი

(ა. პასტუხოვისა)

(დასასრული *)

სიმაღლე ყაზბეგისა 16.546 ფუტია. დიდებულს სანახაობას, რომელიც აქედგან მოსჩანს, კალამი ვერ ასწერს. ძლიერ გამაკვირვა მყინვარის წვერის გარეკანმა შეხედულობამ, ყოველთვის მრგვალის ქუდის მსგავსად მეჩვენებოდა, ახლა-კი ვხედავდი ჩემს წინ შვილდის მსგავსს. ტერმომეტრი აღნიშნავდა—$^{3}/_{4}$-$^{0}$ სიცივეს. მყინვარის წვერზედ დავამაგრე წითელის ყანაოზის ბაირაღი. სიგრძე ყანაოზისა 4 არშინი იყო, სიგანე არშინი; თითონ ჯოხს, რომელზედაც გაკეთებული იყო ყანაოზი, სიმაღლე 17 ფუტი ჰქონდა. ჩემი ბაირაღი კავკავიდგან ბინოკლითა (თვალ-მადიდით) სჩანდა და მახლობელ სოფლებიდგან შეუიარაღებელის თვალითაც კაცი კარგად გაარჩევდა. უკანასკნელად დავტკბი საოცარის ჩვენებით და სწორედ $4^{1}/_{2}$ საათზედ დავეშვით ძირს. ზევიდგან მარდად წამოვედით, რადგანაც საფეხურების კეთება აღარ გვჭირდებოდა და ზოგან ცურვით, სრიალით ჩავდიოდით. $7^{1}/_{2}$ საათზედ მივედით იმ ადგილას, სადაც მეორე ღამე გავატარეთ. აქ გვიცდიდა ყაზახი ლაპკინი. აქედგან ერთხელ კიდევ შევხედე ყაზბეგს, რომლის მწვერვალი გაბრწყინვებული იყო ჩამავალის მზის სხივებით და ზედ ჩემი ბაირაღი ჰფრიალებდა.

ამ სურათს რომ ვუყურებდი, ჩემდა უნებურად მომაგონდა ლერმონტოვის ლექსი „ყაზბეგს“, სადაც, სხვათა შორის, პოეტი ამბობს: „შენი დახავსებული შუბლი, საუკუნოებიდგანვე თეთრის ჩადრით შემოხვეული გაქვს, და ამპარტავნული ყბედობა კაცისა, ვერ დაარღვევს შენს მედიდურს მყუდროებასაო“.

ეხლა არამც თუ დარღვეული იყო იმისი მედიდური მყუდროება, არამედ მისი თეთრი ჩადრი შემკული იყო წითელის ზინზილაკით.

ჩავეშვით იმ ადგილისაკენ, სადაც პოტაპოვი იმყოფებოდა. პირველად, ორის დღის შემდეგ, ძლივს ვიპოვნეთ წყარო. მოვიკალით წყურვილი. წყალმა ცოტა არ იყოს ძალა მოგვცა... გამოვედით ღორღიანისაკენ და გავსწიეთ მარდად წინ. მზე კიდეც ჩავიდა, ბინდმა იძულებული გვყო შევმდგარიყავით და ღამის გასათევად ადგილი მოგვეძებნა. დავიწყეთ ირგვლივ ცქერა, მაგრამ ვაკე ადგილი არსადა სჩანდა; ყველგან წვეტიანი ქვის ლოდები და ყინულები მოსჩანდა. იმის მეტი აღარა დაგვრჩენოდა-რა, რომ სველი ფეხთსაცმელი დაგვეხადნა და მოკეცილები დავმსხდარიყავით. ეს იყო ჩვენთვის ყველაზედ შემაწუხებელი სუსხიანი ღამე. ადგილი არსად იყო, რომ გვერბინა მაინც და სირბილში გავმთბარიყავით.

დილით რომ ავდექით, ჩვენი ფეხთსაცმელი სულ ერთიანად გაყინული იყო... ძლივს ჩავიცვით. დილის 10 საათზე მოვატანეთ იმ ადგილას, სადაც პირველად ღამე გავატარეთ. აქ დაგვიხვდა ჩვენი ნაბდები და ერთის გირვანქის ოდენა პური. ყაზახს პური სულ შეეჭამა. შემდეგში გვითხრა, იმიტომ გავათავე აქ დარჩენილი საგძალი, რომ იმედი არა მქონდა, თუ ცოცხლები დაჰბრუნდებოდითო. ავიღეთ ჩვენი ნაბდები და გავუდექით გზას. $11^{1}/$ საათზედ ჩავედით საყინულესთან—მაილთან. ცხელ წყაროებს რომ მივატანეთ, შორიდგან დავინახეთ მთელი გროვა ხალხისა. რამდენადაც ვუახლოვდებოდით ცხელ წყაროებს, იმდენად ხალხის გროვა უფრო ჰმატულობდა. ვინც აქ მოსარჩენად მოსულიყვნენ, შეკრებილიყვნენ ერთ განაპირა ქოხთან და ჩვენ გვიცდიდნენ. როგორც ეტყობოდათ, გაეგონათ ჩვენი თავ-გადასავალი ყაზახისაგან, დახოცილებად გვთვლიდნენ და ეხლა ისე გვეგებებოდნენ, როგორც საიქიოდგან მოსულებს. აქვე შემთხვევით მოსული ვნახე მკურნალი მ. მ. დ., რომელიც ის იყო ემზადებოდა წასასვლელად, რომ გამოექვეყნებინა ჩვენის დაღუპვის ამბავი. მკურნალს ეუცნაურა ჩვენი პირის-სახეები; თურმე ისე დაგვშავებოდა სახე, თითქოს განგებ ცეცხლზედ შეუბოლავთო; ეს გარემოება იმით განმარტა, რომ ჰაერის სიცოტავის გამო სისხლს გარეთ გამოუწევიაო. მკურნალი ნახევარი საათის შემდეგ წავიდა და მე ცხელს წყაროებზედ დავრჩი.

იმ ღამეს ძლიერ დიდი წვიმა მოვიდა და საშინელი ნიაღვრები წამოვიდა. როდესაც მეორე დღეს გამოვიარე სოფ. კანსა და სანებაზედ, შევნიშნე, რომ წყლის ნიაღვარს წაეღო შემოსული ყანები და მოეგლიჯა ხიდები, სახლები და წისქვილები. სოფ. სანებაში ერთი გროვა ხალხისა ვნახე და იმათში ერთმა თითი ჩვენკენ მაიშვირა ამ სიტყვებით: „ყველა ეს შენგან მოხდა... შენ ახვედი ყაზბეგზედ და ღმერთმა ჩვენ ამის გულისათვის დაგვსაჯაო“. მე მინდოდა დამერწმუნებინა, რომ სცდებოდა, მაგრამ გამოცდილებით ვიცოდი, რომ ვერ დავაჯერებდი და ამიტომ იმათ სანუგეშებლად ეს-ღა ვთქვი: „რომ მცოდნოდა, თუ ჩემს ასვლას ასეთი სამწუხარო შედეგი ექმნებოდა, არ ავიდოდი მეთქი ყაზბეგზედ“.

ბოლოს უნდა აღვნიშნო ოსების ზღაპრული თქმულება, რომელიც აგვიხსნის, ოსები რადაცა მსახავდნენ თავიანთის უბედურების მიზეზად. აი შინაარსი ამ თქმულებისა:

„როდესაც ღმერთმა გადასწყვიტა იესო ქრისტეს დედამიწაზედ გამოგზავნა, მაშინ მთელ ქვეყნიერობაზედ ვერ იპოვა ისეთი ადგილი, ყაზბეგის გარდა, რომ ცოდვიანის კაცის ფეხით არ ყოფილიყოს წარყვნილი. იესო ქრისტე, ოქროს აკვანში მწოლიარე, ღმერთმა მოათავსა ყაზბეგის მთაზედ, მიუჩინა მტრედი და ოქროს რქიანი ცხვარი. მტრედს უნდა აკვანი ერწია და ეღუღუნა ყმაწვილისათვის; ცხვარს—თავისის ბღავილით გაერთო. ცხვარი და მტრედი შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, ღმერთმა მთაზედ ერთი დიდი გროვა ხორბალი დააგროვა. იესო ქრისტე გაიზარდა, ჩამოვიდა ზევიდგან (მთიდგან) დედამიწაზედ, შეასრულა თავისი ქვეყნიური საქმე და ზეცას ამაღლდა. იმის სახსოვრად, რომ ქრისტე იმყოფებოდა ყაზბეგზედ, ღმერთმა სამუდამოდ დაარჩინა იქ ოქროს აკვანი, მტრედი და ცხვარი. მტრედი ისევ აკვანს არწევს და დაჰღუღუნებს და ცხვარი ჰბღავის. საღამ-საღამოობით ცხვრის ბღავილი ეხლაც ისმის. მტრედი და ცხვარი ისევ იმ ხორბლით იკვებებიან, რადგან ხორბლის გროვას არა აკლდება-რა“.

აი ამიტომ მეუბნებოდნენ ოსები: თუმცა ყაზბეგზედ ბევრმა მოინდომა ასვლა, მაგრამ ღმერთმა არავინ აუშვა; ზოგს აბრმავებდა, ზოგს ქარით უფსკრულში აგდებდა და ზოგს თოვლში ჰმარხავდაო. ეხლა ოსები ამბობენ: რუსმა შესძლო ყაზბეგზედ ასვლა, თან წამოიღო ოქროს აკვანი და ღმერთმა კიდეც ამიტომ დასაჯა მახლობელნი მცხოვრებლები საშინელის წვიმა ნიაღვრებითაო“.

მღ. ალ. გულისაშვილი

*) იხ. „ივერია“ № 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანიკურ ბაღში წყლის მილს გაიყვანენ, რომ მუდამ საკმაო წყალი ჰქონდეთ ბაღის მოსარწყავად. განზრახვა აქვთ ბაღი გაადიდ-გააგანიერონ და ამ აზრით კერძო მემამულეთაგან უნდა შეისყიდონ ბაღის მახლობლად მდებარე მამულები. ბაღის ამ გვარად მოწყობა-მომართვისათვის მთავარ-მართებელს 1000 მან. გადაუდვია.

გაზ. „სვეტ“-ი სწერს, რომ ამიერ-კავკასიის გლეხთა მამულ-დედულ ის გაწეს-რიგების შესახებ დაარსებული განსაკუთრებული კომისია 15 თებერვლიდგან დაიწყებს მუშაობასა.

⁂ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან 15 თებერვლიდგან არსდება განსაკუთრებული კომისია მიწათ-მოქმედების მინისტრის ბ-ნის ა. ს. ერმოლოვის თავმჯდომარეობით, რომელმაც ამიერ-კავკასიის ელ-მცხოვრებლების დაბინადრების შესახებ უნდა მოილაპარაკოს.

⁂ ქუთაისი. კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ უკანასკნელს კრებაზედ დაადგინა სთხოვოს გუბერნატორს, რათა მან იშუამდგომლოს: 1) სრულიად არ გამოერთვას ცხოვრებელთ ის გარდასახადი, რომელიც დაედოთ ტყის ჭრისათვის 1877 წ. და ამა წლის იანვრის პირველ ნახევარს, 2) ნება მიეცეთ მცხოვრებელთ აძოვონ ზამთრით დასუსტებული საქონელი სახელმწიფო და საზოგადო მფლობელობის ტყეებში; 3) სახელმწიფო გადასახადი და „ნედოიმკები“ ნაწილ-ნაწილ გამოერთვას მცხოვრებელთ, ისე რომ ნახევარი შემოდგომაზედ გამოერთვათ და ნახევარი ხუთის წლის განმავლობაში; 4) გადაიდოს იმ გარდასახადის გამორთმევა, რომელიც გლეხების მიერ იჯარით აღებულ სახელმწიფო მიწებზედ არის დადებული და 5) უსასყიდლოდ დაურიგდეს გლეხებს საქონლის საკვებ ბალახის თესლი.

რაც შეეხება სენაკისა და ზუგდიდის მაზრებს, სადაც სახელმწიფო ტყეები არ არის, იმათ შესახებ საზოგადოების განყოფილებამ დაადგინა სთხოვოს უგანათლებულესს თავად ნიკოლოოზ დავითის ძე მინგრელსკის, რომ არ გარდაახდევინოს მცხოვრებელთ ტყით სარგებლობის გადასახადი და ნება მისცეს უსასყიდლოდ ტყეში საქონლის ძოვებისა.

⁂ მამა დავითის მოედნის მახლობლად მცხოვრებელმა გიორგი ერიმელიძემ მე-2 ნაწილის ბოქაულს გამოუცხა, რომ ალექსანდრეს ბავშვთა თავშესაფარის მახლობლად მოვდიოდი 30 იანვარს ღამე, ოთხი კაცი თავსდამეცა, დამიწყეს ცემა და ჯიბიდგან 600 მან. ამომაცალესო. დამნაშავეთ პოლიცია დაეძებს.

25 იანვარს ტფილისის მაზრის სოფ. მუხათში ვიღაც ბოროტ-მოქმედთ ცეცხლი წაუკიდეს იოსებ დოლინკის საბძლებს. დამნაშავეთა კვალისთვის ჯერ ვერ მიუგნიათ.

⁂ გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს აკაკის „კრებულის“ მე-VI № შემდეგის შინაარსით: „სიზმარი“, ლექსი; „უბრალო საუბარი“; „ცხოვრება“, ლექსი; სამი ლექცია „ვეფხვის-ტყაოსანზედ“—ლექცია II და III; „სიყვარული“, ლექსი, განყოფილება მეორე: „თორნიკე ერისთავი“, ისტორიული პოემა; განყოფილება მესამე: „ხელმწიფის ცოლი“, „ქალ-ბაყაყი“, ზღაპარი, ჩაწერილი მღვდ. ნ. მაღალდაძისაგან; „სიბრძნე სოლომონისა“, ზღაპარი, მისგანვე ჩაწერილი; „სიზმარა“, ზღაპარი, ჩაწერილი ი. მთავრიშვილისგან და ხალხური ლექსები (შეკრებილი სოსიკო მერკვილაძისაგან).

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ხიზაბავრა**, (ჯავახეთი). 11 და 25 იანვარს 1898 წ. გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ჩვენს ეკკლესიაში დაუწლ-მოსილის მეფე ერეკლე II-ს გარდაცვალების და დაკრძალვის ასის წლის შესრულების გამო. მწირველმა პატივცემულმა მამა მიხეილ კარმელაშვილმა ქართულის სახარების წაკითხვის შემდეგ აუხსნა ხალხს, რომ ერთმა ღირსეულმა ქართველმა შემომიკვეთა წირვა და პანაშვიდი გარდაიხადოს განსვენებულის საქართველოს მეფის ერეკლეს სულის საოხად, რადგან დღეს სწორედ ასი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც მთელ კავკასიის ქრისტიანეთა მფარველი მეფე ერეკლე II გარდაიცვალაო.

„ძმანო და მამანო! თქვენმა მამა-პაპამ კარგად იცოდა, ვინც იყო ასპინძის გმირი ირაკლი და თქვენც გაგონილი გექნებათ უთუოდ. ეს ის მეფე იყო, რომელიც ქრისტესათვის და ქრისტიან ხალხის დასახსნელად მთელი თავისი სიცოცხლე ებრძოდა ქრისტეს მტრებს: ოსმალოს ანუ თათრებს, ყიზილბაშს (სპარსეთს) და დაღესტანის ლეკებს. როგორც მშობელ მამას, ერეკლე მეფეს გული უკვნესავდა, რომ ჩვენი მამანი აქ ოსმალთა ხელში იტანჯებოდნენ, ამიტომაც განუწყვეტლად ებრძოდა ოსმალეთს ჩვენ გამოსახსნელად. მარტო ის გაიხსენეთ, ძმებო, რამდენი ასი და ათასი სული ქრისტიანე გაჰქცეკია აქედგან შეუწყალებელ მტრის ხმალს და საქართველოში მეფე ერეკლეს შეჰფარებია თავისის ცოლ-შვილით, სადაც ჩვენ ქართველებს-კათოლიკეებს თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული. სულგრძელი მეფე როდი სდევნიდა ჩვენებს, იმის კალთის ქვეშე შეხიზნულთ, რომ ისინი კათოლიკეები იყვნენ, პირიქით, ნებას აძლევდა დასახლებულიყვნენ სადაც უნდოდათ იმისს სამეფოში და ეცხოვრათ მშვიდობიანად. არა თუ ჩვენ ქართველი კათოლიკობა, არამედ ქართველი მაჰმადიანი მეფე ერეკლეს თავის შვილებად მიაჩნდა. მაშ ვინ იფიქრებდა იმას, თუ არა ამგვარელი მამა, რომ სიკვდილის წინადაც-კი იზრუნა ჩვენთვის და რაც თვითონ ვეღარ მოასწრო, რუსს ხელმწიფეს უანდერძა: „შენ ჩემზე მღიერი ხარ და ქრისტიანი ხალხი ახლა შენ დაიხსენ თათრების ხელიდგანაო“. ერეკლე მეფე, ძმებო, იყო თავდაპირველი იმის მიზეზი, რომ დღეს ადამიანურად ვცხოვრობთ და ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი რჯული და ჩვენი ცხოვრება-ქონება უზრუნველ-ყოფილია. მაშ ვილოცოთ, ძმებო, განსვენებული მეფის ერეკლეს სულის შესანდობლად“. დაასრულა სიტყვა მწირველმა მღვდელმა.

ხალხი დიდი თუ პატარა დიდის გულმოდგინებით უსმენდა მამა კარმელაშვილს სიტყვას და როდესაც დაათავა, მოხუცებულნი ჩამოვიდნენ პატარა სკამებიდგან და მოწიწებით დაიჩოქეს, ახალგაზრდობა დადგა მაღალ ჩოქზედ და დაიწყეს დიდებულ მეფის სულისათვის ლოცვა.

გათავდა წირვა. საყდრიდგან დაიწყო დენა ხალხმა: ახალგაზრდობა გამოცვივდა და წამსვე ერთი მეორეს ეკითხებოდა:

„ბიჭო, სანდრო! გახსოვს ჩვენი პაპაი რომ იტყოდა ხოლმე, ერეკლე ხანი ერთი ღამე აქ იყო ხიზაბავრაში? დღეს ბატონმა რომ ქადაგებაში თქვა, ეს ი ერეკლე ხანი ხომ არ იყო?“

— რა ვიცი, კი იტყოდა ხოლმე, ასპინძას ძრიელ გაიმარჯვაო: უთვალავი ლეკი და თათარი დაჰხოცაო...

„მოიცათ, ბიჭო, მართლა! დავეკითხოთ ტეფო-ბიძას, იმან იცის მაგისთანა ამბები... აგერ კიდეც მოდის, მაგრამ როგორღაც დაღონებულია და იქნება არა გვითხრას-რა!“

— „ტეფო ბიძა! ტეფო ბიძაჯან, შენი ჭირიმე! მისცვივდნენ ახალგაზრდები, გარს შემოერტყნენ და ხვეწნა დაუწყეს: ერთი გვითხარი, ტეფო-ბიძა, დღეს რო ი ბატონმა *) სთქვა ის ერეკლე ხო არ იყო, აი ასპინძის ბოლოს თათრები რო ჟლიტა და ჟლიტა?“

მოხუცებულმა სიამოვნებით შეჰხედა თავისის ცოცხალის თვალებით ახალგაზრდებს და გვიამბო:

„ჰო, ბიჭებო! ის ერეკლე ხანია... მაშინ ჩვენში თათრობა იყო. იმან მოინდომა ჩვენი და სხვა ჩვენსავით შევიწროებულ ხალხის განთავისუფლება. ამოიარა ბორჯომის ხეობა, აწყვერიდგან გადმოიარა ელიაზედ (ელიაზიმთა; აწყურიდგან ზემოთ მარჯვენა მხრით მტკვრისა, სადაც ძველად და ახლაც გადადის მოკლე გზა ასპინძიდგან აწყურს). ჩამოვიდა ასპინძას და აქ დახვდა ურიცხვი ლეკი, თათარი... საშინელი ჩხუბი მოუხდათ და რაც ლეკ-თათარი იყო, ამოწყვიტა, გაჰჟლიტა. იქიდგან ერეკლე ხანმა ჩვენ სოფელზედ ამოიარა, აქ ერთი ღამე დარჩა თურმე, ჯავახეთიდგან წალკაზედ გადაიარა და ჩავიდა ტფილისს ქალაქს.

— ერეკლე ქართველი იყო? დაეკითხა ვიღაცა ჯგუფიდგან.

— ჰო, შვილო, ქართველი იყო! ჩვენის სისხლის და ხორცისა... იმ დროს აქ თათრობა იყო! თათრები ჩვენ გურჯებს გვეძახდნენ, ათას ნაირად გვტანჯავდნენ. რა ვქუოთ, შვილო, მაშინ გვინდოდა ჩვენში თათრები არ ყოფილიყვნენ, მაგრამ ისინი ბევრნი იყვნენ და ქართველ მეფეებს ვერ შეეძლოთ ყოველ დღე იმათთან ეჩხუბათ ჩვენის თავისუფლებისათვის...

— აქედგანაც თქვენ შეეშველებოდით მეფეებს რა?! დაეკითხა მოხუცს ერთი ახალგაზრდათაგანი.

— შევშველებოდით!! მწუხარის ღიმილით წარმოსთქვა მოხუცმა და ჩაიქნია თავი. როგორ შევშველებოდით, როდესაც ათასნაირი ტანჯვა და მწუხარება გვექონა, რომელთაც მეც ცოტა მოვესწარი. ჩვენი ქრისტიანე სოფლები სავსე იყო ლეკითა და ენგიჩრებით: გვართმევდნენ, რაც რამ გვებადა; გვაგინებდნენ რჯულს, პირს, ენას, ხატს, გვატანდნენ ძალას, რომ გველაპარაკა თათრულად, გვეწამა მაჰმადი და გვებმო ქრისტე, ჩვენი ქალი და რძალი ორმოებსა და ჭურებში დამწყვდეული იყო იმათი შიშით. უწინ, შვილო, ხალხი იმალებოდა დარნებში (მაღაროებში). აი თათარ პეტეთ სახლებს ქვეშ რომ დარნებია, მანდ საყდარივით ჰქონდათ. მაგათი ერთი ტოტი მტკვრამდი ჩადის (2—3 ვერსი სიშორე), იქ ჩადიოდნენ დარნით და იპარდნენ თევზს; ერთი ტოტიც ნიგჯორის მაღაროებისაკენ მიდის (1—1½ ვერ. სიშორე.) ერთი კვალიც გოგაშათ ნაფუზრებისაკენ მიდის. (ეს დარნები ეხლაც არის). თითონ ეს ადაგები ტყე იყო უდაბური: ამიტომაც ნადირითა და თევზით იკვებებოდნენ და ისე ატარებდნენ თავისს სიცოცხლეს. დარნებს დიდრონის ქვის კარებით ჰკეტავდნენ, რომ ლეკი და თათარი არ შესულიყო. აი, ჩვენის საყდრის ქვეშ რომ დარნის ფეხი გამოდის, ქვის კარი ეხლაც საღია და პატარა ნახვრეტები აქვს გამოსაყურად და სასროლად. ბევრი დაიღუპა სულითაცა და ხორცითაც: იღებდა იმათ რჯულს იმიტომ, რომ ჯილდოდ აძლევდნენ სოფლებს, მიწას, დიდკაცობას და ვინც არ იღებდა იმათ რჯულს, იმათ ჰხოცდნენ. ბევრიც მირბოდა და ასე სულ მალვით ტყე-ტყე ქართლში გადადიოდა, ეხიზნებოდა ცოლ-შვილით ქართველ მეფეებს, რომელნიც იფარავდნენ და აძლევდნენ თავისუფლებას. იმ ყიამათში და გაჭირვებაში თურმე ვინც იტყოდა მე სომეხი ვარო და მიეღო სომხის რჯული და ენა, თათრები იმას ხმას არ გასცემდნენ.

— კმარა, გაათავე, პაპა! ვერ უყურებ, გაიყინენით, წავიდეთ, ბიჭებო, პური ვჭამოთ და მერმე მოვგროვდეთ ოდაში, ტეფობიძამ გვიამბოს, რაც დარჩა.

ამ სიტყვებზედ დაიშალნენ და ყველა თავისთვის წავიდა. მეც გავყევი. გზაზედ მივდიოდი და გატაცებული ვიყავი მოხუცის ლაპარაკით. ვერ დავმშვიდებულიყავი. სულ ვფიქრობდი მოხუცის ნაამბობზედ. ცოტაოდენი ან-ბანი ვიცი და ერთი ნომერი „ივერიისა“, სხვისის წყალობით, წავიკითხე, რომ სომხები ამბობენ, კათოლიკენი სომხები არიანო; არ ვიცი, მართალია იმათი ნათქვამი თუ არა, მაგრამ მოხუცის ნაამბობი-კი აშკარადა ჰყოფს, რომ მართალი არ უნდა იყოს. თუ რომ ჩვენი კათოლიკენი ვერ მორიგდნენ თათრებთან და დარნებში დაიწყეს ცხოვრება, ოღონდ კი დაეცვათ ქრისტეს რჯული და დედა-ენა, რატომ ახლა მე, როდესაც თავისუფლება მაქვს, არ ვიცავ ჩემს რჯულს—დედა ენას, როდესაც სომხები ერთის ცალიერ სიტყვით მხდიან სომხად. ითვისებენ მამა-პაპის საფლავებს, ჩემს ხორცსა და სისხლს, რად ვაძლევ ნებას ძალად გაიტაცონ ჩემი სახელი: ეს ხომ უსამართლობაა. რად მხდიან ეხლანდელ დროში სომეხს, როდესაც უწინ დარნებში მცხოვრებნი არც-კი იკადრებდნენ სომხად ხსენებას? ყველამ იცის, რომ მაშინ სომხებს თავისუფლება ჰქონდათ და ქართველები-კი ოსმალოს დროს სიმწუხარეში ვცხოვრობდით. რადა მხდიან სომეხს და მიკრძალავენ ვილოცო მამა-პაპის საფლავი იმ ენით, რომლისათვისაც ტანჯულ-წამებულან ჩემნი მამა-პაპანი? რად ასრულებინებენ სომხურად ეკკლესიის მსახურნი წირვა-ლოცვას, რომლისაც არაფერი ესმის ერს? ვეკითხებოდი ყოველ ამას ჩემს თავს და პასუხი ვერ მეპოვა.

ხიზაბავრელი ქართველი კათოლიკე
ა. ხუციშვილი

*) ბატონს ქართველი კათოლიკენი მღვდელს უძახიან.

# თეატრის მატიანე

„ხანის ვეზირი“, კომედ. 4 მოქმედ. აკაკი წერეთლისა (აზრი ნასესხებია თათრულის პიესიდგან.)

შაბათს, 31 იანვარს, ქართულ სცენაზედ წარმოადგინეს კასსირის საბენეფისოდ ზემოდ აღნიშნული ახალი პიესა. „ხანის ვეზირი“ ისეთი სუსტი პიესა გამოდგა, ისეთი დაბალხარისხოვანი „თხზულება“, რომ, უკეთუ ავტორის ვინაობა არ გვეცოდინებოდა, უთუოდ ვუძღვნიდით აკაკის „საახალწლოს“:

„წელიწადმა აბა რა ჰქნას,
რომ ცბიერობს ეს ქვეყანა
და სუყველა მწერალია,
ვინც-კი იცის ანა-ბანა!“

ეხლა-კი აბა როგორ ვაკადროთ აკაკის სიტყვები დიდად პატივცემულ აკაკისვე. „ხანის ვეზირი“ იქნება ივარგებდეს საბავშო სცენაზედ, ხოლო ჩვენს სცენაზედ მისი წარმოდგენა შეადგენს დანაშაულს, რომელიც არ ეპატიებათ თეატრის ბედიღბალის გამგეთ. კადნიერება არის იმათის მხრივ ასეთის „უსუსურობის“ მირთმევა იმ საზოგადოებისათვის, რომელიც იმათ ასაზრდოებს, ინახავს და ყოველ შემთხვევაში მეტის ყურადღებისა და პატივის ცემის ღირსია. „ხანის ვეზირი“ მოკლებულია აზრს, აშენებულია ისეთ ეფექტებზედ, რომელიც შეჰშვენის ფეერიას და არა დრამატიულს ნაწარმოებს.

ყოველის წვლილის გამოკიდება და დაბეჯითებით გარჩევა „ხანის ვეზირისა“ ისევე არა ღირს, როგორც „ჩიტი ბდღვნად არა ღირდა, უკან დევნა მეტი იყოვო“. ჩვენ მხოლოდ რითიმე უნდა ავხსნათ, განვმარტოთ ჩვენის ნიჭიერის პოეტის ასეთი მოულოდნელი შემთხვევა. ვინ აკაკი, ვინ „ხანის ვეზირი“!

უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც ყოველ კაცს, მეტადრე დიდს პოეტებს, აქვთ ხოლმე წამი „გამოღვიძებისა“, „შთაგონებისა“, როდესაც იგინი „ჰქმნიან“, კეთილ-აზროვნებენ, ადიან ფიქრისა და აზრის მწვერვალზედ. სამწუხაროდ, ნათელს ჩრდილიც თან დასდევს. მათს ცხოვრებაში დადგება ხოლმე ისეთი დროც, როდესაც კაცის არსებაში ყოველივე მაღალი, დიდი, „ალმა-ფრენა“ იძინებს, მისუსტდება. მაშინ თვით დიდი პოეტი ედარება სულ უბრალო კაცს. ეს უბედური წამი არაფერში ვარგა, მეტადრე თხზვისა და „შექმნისთვის“. ასეთს დროს დაწერილი თხზულება იქნება მხოლოდ საბუთი იმისი, თუ რაოდენის საფეხურით ძირს ჩამოსვლა და დაქვეითება შესძლებია ნიჭის მქონე კაცსაც. ასეთს წუთებში დასწერა ნიჭიერმა მოპასანმა: ოჰ, ღმერთო! ნეტავი კი მაცხოვრა და მაცოცხლა ისე, როგორც პირუტყვნი სცხოვრობენო“.

ისეთივე გარემოებაში, როდესაც კაცის გონებას ჩრდილი მიადგება ხოლმე, ბურჟემ სთქვა: „სიყვარული არის ჰიდილი ორის გარყვნილობისაო“, და სხვა, და სხვა.

უეჭველად ასეთს გარემოებაში დასწერა ბ-ნმა აკაკიმაც „ხანის ვეზირი“...

არტისტები ბევრს ეცადნენ, რომ რამე გამოსულიყო იმათის თამაშობიდგან, მაგრამ ამაოდ: არარაიდგან რისამე შექმნა ჩვენს დროში ალარავისა სწამს, და ვერც იმათ მოახერხეს.

მე გახლავარ

# რუსეთი

უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს ზოგიერთ გუბერნიაში სასოფლო-სამეურნეო საგნების გამოფენა გაჰმართოს მომავალ ზაფხულსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა



შემოდგომას. გამოფენილ იქმნება მხოლოდ გლეხთა მიერ დამზადებული სამეურნეო საგნები და საუკეთესოდ დამზადებულ საგნების გამოფენისათვის ჯილდოდ მიეცემათ ფული, ან მეურნეობისათვის საჭირო იარაღი.

— ამ დღეებში სახელმწიფო საბჭომ განმარტა, რომ დედათა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების მასწავლებელთ და აღმზრდელთ, თუ ისინი სამსახურიდგან იქმნენ დათხოვნილი თანამდებობის გაუქმებისა გამო, მიენიჭებათ ის უფლება და უპირატესობა, რაც სამსახურს გარეშე დარჩენილ მოხელეებსა აქვთ.

— მართლდება ის ხმა, რომ რუსეთის საერო განათლების მინისტრად მოსკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი ბოგოლეპოვი ინიშნება.

## უცხოეთი

—

**კრიტი.** ხოლას საქმის შემდეგ ევროპის ჟურნალ-გაზეთები ყველაზედ ბევრს ამ ჟამად კრიტისა და ჩინეთის შესახებ ლაპარაკობენ. რუსეთის მიერ წამოყენებულმა კანდიდატურამ საბერძნეთის მეფის შვილის გიორგისა კრიტის გენერალ-გუბერნატორობაზედ მთელი ევროპა თითქმის ორ ბანაკად გაჰყო. საფრანგეთი მაშინვე მიემხრო რუსეთის წინადადებას. გაზეთები ამბობდნენ, რომ ინგლისმა და იტალიამაც სიხარულით მიიღეს რუსეთის წინადადებაო, მაგრამ ძალიან საეჭვოა ეს ამბავი, რადგანაც არც ინგლისს და არც იტალიას ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არა უთქვამთ-რა. ხოლო გერმანია, რომელიც აქამდის არაფერს ამბობდა, ეხლა, როგორც მოსულის ცნობებიდგან სჩანს, უფრო ავსტრი-უნგრეთის და ოსმალეთის აზრისაა ე. ი. არ არის თანახმა, რომ კრიტის გენერალ-გუბერნატორად მეფის შვილი გიორგი იქმნას დანიშნული. მაგრამ ყველაზედ ძალიან წინააღმდეგი ამ კანდიდატურისა ოსმალეთი და ავსტრი-უნგრეთია. აი, მაგალითად, რას ამბობს ავსტრი-უნგრეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს გაზეთი „Politische Correspondenz“-ი: „ევროპის სახელმწიფოთ კრიტის საქმის განხილვის დროს ერთსულობა და ერთგულობა არ ეტყობათ. იმას უარს არავინ არა ჰყოფს, რომ კრიტი ამ ჟამად დიდს გაჭირვებაშია; მაგრამ მეფის შვილის გიორგის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნით საქმე არ გასწორდება და კრიტში მშვიდობიანობა არ დამყარდება. კრიტის ყველა მცხოვრებელთა დასაწყნარებლად და დასამშვიდებლად გაცილებით უკეთესი იქმნება, რომ სხვა ვინმე დაინიშნოს გენერალ-გუბერნატორად, ისიც დროებით, ვიდრე კუნძულზედ თვით-მმართველობა იქმნება შემოღებული. მაგრამ ამის გარდა, კრიტის საქმის მოწყობის დროს ევროპამ უეჭველად მხედველობაში უნდა იქონიოს მთელი ბალკანეთის კუნძულის აწინდელი ვითარებაც. ყველა სახელმწიფონი, რომელნიც წინააღმდეგნი არიან გიორგის კანდიდატურისა, ჰფიქრობენ, რომ სულთანის ძალდატანებას უფრო ცუდი შედეგი ექმნება ევროპისათვის, ვიდრე იმას, რომ კრიტის გენერალ-გუბერნატორად გიორგის ნაცვლად სხვა ვინმე იქმნას დანიშნული. თვით სულთანი, რომელიც გიორგის გუბერნატორად დანიშვნის საქმეში საბერძნეთის გულითადის განძრახვის განხორციელებასა ჰხედავს, დიდს წინააღმდეგობას გაუწევს ევროპას და, არა მგონია, ამ უკანასკნელმა აგრე ადვილად დაიყოლიოს სულთანი, როგორც ამას ზოგიერთ სახელმწიფოთა მთავრობანი ჰფიქრობენ“.

—

**საბერძნეთი.** ათინიდგან სწერენ ზოგიერთ გაზეთებს: „ამ ბოლოს დროს ხალხში ხელ-ახლა გაისმის უკმაყოფილება მეფის წინააღმდეგაო. ამბობენ, რომ ამ დღეებში, როდესაც მეფემ ერთი დეპუტაცია მიიღო, სთქვა: „რა უნდათ ჩემგან, რას მემდურებიან? რესპუბლიკის დაარსებას ხომ არ აპირებენ საბერძნეთში? თუ ასეა, მე ხვალვე შემიძლიან ათინიდგან წავიდე, მაგრამ ვინ განაგებს მაშინ სამეფოს, ვინ იქმნება ჩემი მოადგილე?“ მეფე უკმაყოფილოა აგრეთვე პალატისა და ზოგიერთა საპოლიტიკო მოღვაწეთა ყოფა-ქცევით. ათინაში იმედი აქვთ, რომ მეფის სიტყვები გონს ჩააგდებენ უკმაყოფილოთ და ეს უკანასკნელნი ამიერიდგან მაინც დაწყნარდებიან და მეფის წინააღმდეგ არაფერს ჩაიდენენო“.

## სასამართლოს მატიანე

ცრუ მოწმობა

(შემდეგი *)

დაფინეს პირველად გამოჰკითხეს ბოქაულად ნამყოფის თავ. წულუკიძის სადგომში, ბრალმდებელის ამხანაგის შუხის, გამომძიებელის კრიჟანოვსკის, პოლიცმეისტერის სვიმონოვისა და ბოქაულის თავ. წულუკიძის თანადასწრებით. პირველად დაფინემ უარი განაცხადა, ჩემს ბინაზედ ყალბი ფული არავის უნახავსო. მაგრამ შემდეგ, როდესაც დაპატიმრებული ახვლედიანი დაუპირდაპირეს, დაფინემ ითხოვა, ცოტა ხანს ახვლედიანთან მარტო დამტოვეთ, უნდა მოველაპარაკოო. მოელაპარაკა რა ახვლედიანს, დაფინე გამოტყდა, რომ მართლა გადავეცი ახვლედიანს ყალბი ფული, რომელიც ჩემს ქმარს ეკუთვნოდაო.

როდესაც ჯოხაძის სახლი გაჩხრიკეს, დაფინეს მოსართავ მაგიდაზედ, ქაღალდის ყუთში იპოვნეს იმ ფულისა, რომელიც სვიმონოვმა ახვლედიანს გადასცა, სამი თითო მანეთიანი; ბოთლის ქვეშ, პატარა ყუთის ძირში იდო შავად დაწერილი პირობის ქაღალდი (ხელმოუწერელი), რომელიც მოხელეს ახვლედიანს დაფინე ჯოხაძისათვის მიეცა; განჯინაში დაფინეს ტანისამოსის ჯიბეში იპოვნეს ნესტორ ახვლედიანის წერილი თავისს ძმასთან ვიქტორ ახვლედიანთან მიწერილი იმავე წლის 29 მარტს; იმავე განჯინაში ქაღალდს ქვეშ იდო ორი კონვერტი წერილებით, ერთში 14 თითო მანეთიანი აღმოჩნდა სვიმონოვისავე ფულისა. ამას გარდა, კონვერტის ქვეშ დაფინეს უპოვნეს ქისა, რომელშიაც შვიდი თითო მანეთიანი ისეთივე ფული აღმოჩნდა.

ასეთი იყო ამ საქმის ვითარება, როდესაც იგი სასამართლოს გარდაეცა. სასამართლომ პირველშივე ყურადღება მიაქცია უმთავრეს მოწმების ჩვენებათა შორის წინააღმდეგობას: ვიქტორ ახვლედიანისა, როგორც ჩადენილ დანაშაულობის დამსწრესი, და ქუთაისის პოლიცმეისტერის სვიმონოვისა, როგორც ამ საქმის ხელმძღვანელისა. ამ წინააღმდეგობამ და გამოძიების მიერ გამორკვეულმა ზოგიერთმა სხვა გარემოებამ დაარწმუნა სასამართლო, რომ დაფინე მართალია და ყოველივე ბრალდება ახვლედიანის მიერ არის გამოგონილი თავისდა სასარგებლოდაო. ამიტომ სასამართლომ 1896 წლის 15 იანვრის განაჩენით გაამართლა დაფინე ჯოხაძე. ამასთან სასამართლო იმ დასკვნას დაადგა, რომ საქმე ყალბის ფულის შესახებ მოგონილია ახვლედიანის მიერ, რომელიც დაფინეს ჰყვარობდა, იმ აზრით, რომ ჯოხაძე კატორგაში გაჰგზავნოს და იმისს ცოლს დაფინეზედ ჯვარი დაიწეროსო. ამიტომ ახვლედიანი სამართალში იქმნა მიცემული ფიცის ქვეშ ტყუილის ჩვენების მიცემისათვის.

საქმის გარჩევა ოლქის სასამართლოში დაიწყო დილის 10 საათზედ. დაბარებულ მოწმეთაგან არ გამოცხადდნენ: დაფინე ჯოხაძე, ანნა ჯოხაძე და თავადის ქალი ოლგა წულუკიძე; ყველამ ავადმყოფობის მოწმობა წარმოუგზავნეს სასამართლოს. იმათი ჩვენება წაიკითხეს სასამართლოში. ყველაზედ საყურადღებო იყო ჩვენება დაფინე ჯოხაძისა, რომელმაც განაცხადა, რომ ყალბი ქაღალდის ფული ჩემ სახლში პოლიციის მოხელემ ახვლედიანმა მოიტანაო, რომ ხუთივე წერილი, ყალბის ფულის გასაღებისა და მიღების შესახებ, ახვლედიანმა თვით დამაწერინაო და დასასრულ, პირველი ჩვენება, რომლითაც ვამტკიცებდი, რომ ყალბი ფული ჩემი ქმრისა არისო, ახვლედიანის რჩევით მივეციო.

სხვა მოწმეთ შემდეგი განაცხადეს:

მახეიდ უიფიანი. ახვლედიანი ძალიან ხშირად დადიოდა დაფინე ჯოხაძესთან, როცა მისი ქმარი ასლანი შინ არ იყო ხოლმე, და დადიოდა ჯერ ისევ მაშინ, როდესაც ყალბი ფულის საქმე არ დაწყებულიყო. მე მახსოვს, ერთხელ ჯოხაძის სახლში რაღაც საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდათ ვიქტორ ახვლედიანს, დაფინე ჯოხაძეს და ვიღაც სხვათ. ეს-კი იქიდგან ვიცი, რომ მე ჯოხაძის ოთახის გვერდით მეორე ოთახში ვცხოვრობდი. შემდეგ ვკითხე დაფინე ჯოხაძეს, რა მოლაპარაკება გქონდათ-მეთქი, მაგრამ დაფინემ არაფერი მითხრა. დაფინე ჯოხაძე პირველად ამტკიცებდა, რომ ყალბი ფული ჩემის ქმრისა არისო, ხოლო შემდეგ განაცხადა, რომ ფული ახვლედიანმა მოიტანა ჩემს სახლშიო. ახვლედიანი ისე ხშირად დადიოდა ჯოხაძის სახლში, რომ ამის გამო ცოლ-ქმარს შორის არა ერთხელა და ორჯელ მომხდარა უსიამოვნებაო.

ბოქაულად ნამყოფი თავ. წულუკიძე. ერთხელ, როდესაც მე და ბრალდებული თეატრიდგან გამოვედით, ახვლედიანმა ვახშამზედ დამპატიჟა „სემეინი ბაღში“. ეს ამბავი 1893 წელს იყო, როდესაც სვიმონოვი ქუთაისის პოლიცმეისტრად ჯერ არ იყო დანიშნული. გზაზედ ბრალდებულს ვკითხე: „ფული გაქვს მეთქი?“ მაქვსო, მითხრა იმან და ჯიბიდგან მთელი ბღუჯა ფული ამოიღო. ამ დროს რამდენიმე ქაღალდი ძირს დავარდა, ავიღე ფული და ვთხოვე ახვლედიანს, მასესხე მეთქი, მაგრამ ეს ფული ყალბი აღმოჩნდა. როდესაც ვკითხე, სად იშოვნე ეს ფული-მეთქი?—ახვლედიანმა მიპასუხა: ამისთანა ფულს რამდენსაც გინდა ვიშოვნიო. ამასთან ისიც მკითხა, რა საჩუქარს აძლევენ იმას, ვინც ყალბის ფულის მჭრელებს აღმოაჩენსო. მე განვუმარტე, რომ ყალბის ფულის აღმოჩენისათვის დიდს საჩუქარს არ აძლევენ, მაგრამ ვინც ფულის მჭრელს აღმოაჩენს, იმას სამსახურში წინ წასწევენ-მეთქი. ამასთან ვსთხოვე ახვლედიანს, მაგ საქმეში ერთად ვიმოქმედოთ-მეთქი. ბრალდებული დამპირდა. შემდეგ ქუთაისის პოლიცმეისტერი თ. ჭავჭავაძე მომრიგებელ შუამავლად გადაიყვანეს. თანამოსამსახურეებმა დ ხელ ქვეითებმა ჭავჭავაძეს სადილი გაუმართეს. როდესაც თ. ჭავჭავაძემ გამოთხოვების სიტყვა წარმოსთქვა, შამპანური მოითხოვეს. სადილის გამგეთ სერჟპუტოვსკიმ და ბრალდებულმა ახვლედიანმა შამპანურის მოსატანად წერილების დამტარებელი წერეთელი გაჰგზავნეს. წერეთელმა რამდენიმე ბოთლი შამპანური მოიტანა და თან განაცხადა, რომ ამ ფულს არ იღებენო. ახვლედიანმა ჩამოართვა ფული და ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ ახვლედიანს სერჟპუტოვსკი მივარდა, გამოართვა დაწუნებული ფული და დაიყვირა: „ეს რა ამბავიაო“? რა მოხდა შემდეგ, ველარ გავიგე, რადგან ძალიან მთვრალი ვიყავი. თვით მე ფული არ მინახავს. როდესაც ქუთაისის პოლიცმეისტერად სვიმონოვი დანიშნეს, ის ქუთაისში ჩამოვიდა, ერთხელ ბოქაულმა სურგულაძემ, რომლის ნაწილშიაც ახვლედიანი ჰმსახურობდა, შემომჩივლა, რომ ახვლედიანი ჩემთან აღარ მოდის, საქმეს აღარ აკეთებს და სულ იმას ამბობს, რომ პოლიცმეისტერმა საგანგებო საქმეები მომანდო და იმაში ვარ გართულიო. მე ვურჩიე სურგულაძეს, თვით სვიმონოვს მიჰმართე და იმასა ჰკითხე-მეთქი. ორივენი ერთად სვიმონოვთან წავედით და როდესაც სურგულაძემ ახვლედიანის გამო შესჩივლა, სვიმონოვმა სთქვა, რომ ვინც ახვლედიანს ხელს შეუშლის, იმას მაშინვე თანამდებობიდგან დავითხოვო. მაშინვე მივხვდი, რომ რაღაცას მიმალავდნენ და მეც ხმა გავკმინდე. მე-4 კვირის შემდეგ სვიმონოვმა დამიბარა. სვიმონოვთანვე მოვიდნენ ბრალმდებელის ამხანაგი შუხი და მოწმე კრიჟანოვსკი. იმათ გამომიცხადეს, რომ დაფინე ჯოხაძე შენს ბინაზედ დაიბარე ყალბის ფულის გასაღების შესახებ ჩვენების ჩამოსართმევადაო. როდესაც დაფინე ჩემს სახლში დავიბარე, უთხრეს, გვიამბე, შენი ქმარი როგორ ჰშოულობს ყალბ ფულს და როგორ ასაღებსო. პირველად დაფინემ დიდი უარი განაცხადა, შემდეგ-კი, როდესაც უთხრეს, რომ ყველა ეს ვიქტორ ახვლედიანმა გვიამბოვო, არ დაიჯერა და კიდევ უარი სთქვა. მაშინ პოლიცმეისტერმა უბრძანა დაპატიმრებული ახვლედიანი მიეყვანათ. როდესაც ორმა პოლიციელმა ახვლედიანი მოიყვანეს, დაფინემ სთქვა, მარტო დამტოვეთ ახვლედიანთანაო. მოილაპარაკეს და დაფინე გამოტყდა, რომ ჩემს ბინაზედ ნაპოვნი ყალბი ფული ჩემის ქმრის ასლან ჯოხაძისა არისო. შემდეგ გაჩხრიკეს იმისი სადგომი, მაგრამ სვიმონოვის მიერ გადაცემულის მანეთიანების მეტი ვერაფერი იპოვნეს. რა მოხდა შემდეგ, არ ვიცი, რადგანაც მე სხვა საქმისათვის გამგზავნეს. ახვლედიანის სადგომის გაჩხრეკამდე ახვლედიანმა ჩემ დას ოლღა წულუკიძეს გადასცა ქისა ფულით შესანახავად და უთხრა, მაგ ქისაში სახელმწიფო ფულია და მეშინიან არ დავკარგო, რადგანაც მთვრალი ვარო. ეს ფული ყალბი აღმოჩნდა. შემდეგ მოწმემ განაცხადა, რომ ახვლედიანს ამ ოქმის დაწყებამდე 2-3 წლით ადრე ვიცნობდიო. ჩვენ მეგობრები ვიყავით, ადგილის მიღებამდე ჩემთან სცხოვრობდა და შემდეგაც ხშირად დადიოდა ჩემს სახლში სადილად, ვახშმად და ღამის გასათევად. სვიმონოვი და ბრალდებული ქუთაისში სჯულის საქმეთა მინისტრის ჩამოსვლამდე ძალიან კარგს განწყობილებაში იყვნენ, ხოლო ამის შემდეგ ხალხში ხმა გავრცელდა, რომ მინისტრი ძალიან უკმაყოფილო დარჩა ადგილობრივის პოლიციის მოქმედებით ყალბის ფულის საქმეშიო. ამის შემდეგ სვიმონოვსა და ახვლედიანს შორის დამოკიდებულება შეიცვალა. შემდეგ მოწმემ დაუმატა: „ახვლედიანმა მითხრა, რომ ვიღაცამ დამღუპა, მახეში გამაბა, მაგრამ ვინ არის, არ ვიციო, თუმცა ესეც დაუმატა, რომ „თუ მე დავისჯები, სხვებიც დაისჯებიანო“. მაშინ მივხვდი და დავრწმუნდი კიდეც, რომ საქმე ყალბის ფულისა პოლიციის მოგონილი იყო.

(შემდეგი იქნება)

*) იხილე „ივერია“ № 24

## ნარევი

—

სასამართლოში.

— თქვენ მომჩივანს ფულის მოპარვასა სწამებდით?

— სულაც არა. მე მხოლოდ ისა ვთქვი, რომ როდესაც ქისა დამეკარგა, მგ რომ არ მომხმარებოდა და ჩემთან ერთად არ ეძებნა დაკარგული ქისა, უეჭველად ვიპოვნიდი მეთქი.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკაში გაუკეთებიათ ერთი გემი სახელად „არგონავტი“, რომელმაც წყლის ქვეშ უნდა იაროს. 16 დეკემბერს ეს გემი გამოსცადეს. გემში ცხრა წარმომადგენელი ყოფილა ჟურნალ-გაზეთებისა და მათ შორის ერთი ქალი ქ-ნი ადა პატერსონი. გემში მყოფ ხალხს სრულებით არაფერი დაჰშავებიათ, მხოლოდ როცა გემიდგან გადმოსულან ცოტა ყურები სტკიოდათ. გემი ერთს საათზედ მეტ ხანს დარჩენილა ზღვის ძირში. გემი ნესვის მსგავსია, გძელი, აქედ-იქიდგან თვლები აქვს. მთელი გემი ფოლადისაა და ამიტომ გაფუჭების შიში არა აქვს. გემის გამკეთებელი ბ-ნი სიმონ ლაკე ამბობს, რომ გემი იმ სიღრმეზე ჩავა, რამდენზედაც გემის უფროსი მოინდომებს და როცა საჭირო იქმნება ზევით ამოვაო. რამდენსამე დღეს რომ დარჩეს გემი ზღვის ძირში, შიგ მყოფ ხალხს არაფერი დაუშავდება. ომის დროს შეიძლება ეს გემი მიუახლოვდეს მტრის გემს, მერე წყლის ქვეშ ჩაიმალოს და გემი ააფეთქოს. უმთავრესი დანიშნულება ამ გემისა-კი ის არის, რომ ზღვაში დაღუპული გემები მანახოს, ტვირთი ამოიტანოს, მონახოს მარგალიტი, სადაფეთი, ღრუბლები და სხვ.

* * *

ჟურნალი „კოსმოსი“ სწერს, რომ ამერიკაში უცდიათ ერთი ახალი მანქანა, ლო-

ნგლეისა და უოტკინსის მიერ გაკეთებული. ეს მანქანა სცადეს ნიუ-ჯერსეის რკინის გზაზე. მანქანა წარმოადგენს ორთქლ-მავალს და ეხლანდელ ორთქლ-მავალისაგან იმით განსხვავდება, რომ დიდრონი ფთები აქვს, ამ ფთებით ჰაერს აპობს და ისე დადის რელსებზე. ამ მანქანის გამომგონნი ამტკიცებენ, რომ ეს მანქანა რკინის გზის მატარებელისათვის გამოდგებაო, მაგრამ მცოდნე კაცები ამბობენ: ძლიერ საეჭვოა, რომ ეს ახალი მანქანა სჯობდეს ეხლანდელს ორთქლ-მავალსაო, მხოლოდ ის-კი შესაძლებელია, რომ ჰაერში საფრენ მანქანისათვის გამოდგესო. („П. И Л.“)

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

31 იანვარი

**პარიჟი.** ჩვენება ჩამოართვეს პიკარს, რომელმაც განმარტა, რად ავილე ეჭვი ესტერგაზის შესახებო. ესტერგაზის მოქმედება საეჭვოდ მიმაჩნდა და ეს ჩემს უფროსებს შევატყობინე; იმათაც მითხრეს, საქმის გამოძიება განაგრძეო. პიკარმა დასძინა, ესტერგაზის ხელით დაწერილი ქაღალდი ვნახე და ძლიერ გამიკვირდა, რომ მისი ხელი წააგავდა იმ ხელს, რომლითაც დაწერილი იყო ბორდერო. ეს ქაღალდი ვუჩვენე ექსპერტს ბერტილიონს და მან ასე მითხრა: „ეგ ნამდვილი ხელია ბორდეროსი“. იგივე ქაღალდი ვუჩვენე პატი-დიუკლანს და ასე სთქვა: „ეგ დრეიფუსის წერილი არისო“. პიკარმა დასძინა: „მე კარგად ვიცი, რომ შტაბ-ოფიცერმა, რომელსაც ორდენები აქვს, უცხო დიდ სახელმწიფოს გადასცა საბუთის ქაღალდები. სხვა საიდუმლოს გამომჟღავნება არა მსურს, მხოლოდ იმას კი ვიტყვი, რომ რავიმ დასწერა თავისს მოხსენება, რომ ჩემი აზრი შესდგა იმის გამო, რომ საიდუმლო dossier-ის ხელი უფრო ჰგავდა ესტერგაზის ხელს, ვიდრე დრეიფუსისაო“. პიკარმა სთქვა კიდევ, რომ „Matin“-ში დაბეჭდილი იყო ბორდერო, მხოლოდ შეცვლილი და ისიც მაიორის პატი-დიუკლამის ჩაგონებით. მერე პიკარი ტუნისში გადიყვანეს. დასასრულ პიკარმა სთქვა, როგორ დაიბარეს იგი პარიჟში, როგ ორ წარსდგა პელიეს წინაშე, რომელიც ისეკი არ ექცეოდა, როგორც მოწმეს, არამედ ისე, როგორც ბრალდებულს. გარნა პელიემ ხელი მოაწერა ისეთს ქაღალდებს, რომლებითაც ბრალი ედება ესტერგაზის, ამ ქაღალდებს შორის სფაკსში აღებულ ქრთამების საქმეც იყო. ყოველივე ეს მხედველობაში არ იქმნა მიღებული. პიკარი თავის გასამართლებლად ამბობს, რომ მე არც ერთი ყალბი ქაღალდი არ შემიდგენია, ლებლუასთვის საიდუმლო dossier-ზე არაფერი მითქვამს და ესტერგაზის სახლი არ გამიტეხიაო. აქ პიკარს ხალხი ალტაცებით მიეგება; გაისმა ხმები „გაუმარჯოს პიკარს! გაუმარჯოს ჯარს!“ კრება შეაწყვიტეს. ახლად დამტკიცებულმა ვექილებმა ყველაზედ მეტად განუცხადეს ტაშის-კვრით თანაგრძნობა პიკარს, რის გამოც ზოგიერთი ვექილები მივიდნენ ვექილთა უფროსთან პლუაიესთან და თვისი უკმაყოფილება განუცხადეს ამ საქმის გამო. ვექილთა უფროსი შეჰხვდა „Pas perdu“-ში გენერლებსა მერსიეს და გონზს, ხელი ჩამოართვა, დაარწმუნა, რომ ვექილთა წოდება დიდს პატივსა სცემს საფრანგეთის ჯარსა და თან დასძინა, დიდადა ვსწუხვარ, რომ ზოგიერთი ახალგაზდა ვექილები ისე არ მოიქცნენ, როგორც მოვალენი იყვნენო. კრების განახლების დროს $3^1/_2$ საათზედ თავმჯდომარემ სთქვა, ამბავი მომივიდა, რომ ზოგიერთმა არა ვექილმა განგებ ჩაიცვეს ვექილის ტანთსაცმელი და ისე მოვიდნენ კრებაზედაო. ხვალ სასტიკი ღონისძიება იქმნება მიღებული, რომ ასეთი ამბავი მეორედ აღარ მოხდეს.

**პარიჟი.** ზოლას საქმე. ლაბორიმ ჰკითხა პიკარს, გაიცანით თუ არა ის საბ თის ქაღალდი, რომელმაც იმდენი ლაპარაკი გამოიწვია და რომელიც საიდუმლო dossier-ში იყოვო. პიკარმა უპასუხა, ეს ქაღალდი მხოლოდ მაშინა ვნახე, როცა პელიემ მიჩვენა; რაც შეეხება საიდუმლო dossier-ს, იმაზედ ვერაფერს ვიტყვი, რადგანაც ეს საიდუმლოება არისო. შემდეგ ლაბორიმ ჰკითხა პიკარს, გინახავთ თუ არა ბორდერო დედანიო. პიკარმა უპასუხა: ვნახე მხოლოდ ფოტოგრაფიული სურათები ამ ბორდეროსი, რომელიც ხელი ხელთ დაჰქონდათ სამხედრო სამინისტროშიო. ვნახე აგრედვე ის საბუთის ქაღალდი, რომელშიაც ეწერა „იმ ავაზაკ დ—ზე“ და ძლიერ ავღელდი, როცა ეს ბორდერო გაზეთებში დაიბეჭდა. თავმჯდომარის კითხვაზედ პიკარმა სთქვა, ლებლუასთვის საიდუმლო dossier-ი არ მიჩვენებიაო. პელიე. აყვედრის პიკარს, ესტერგაზის სახლი რად გასჩხრიკეთო. ლაბორი ამბობს, თვით პელიემ ხომ ბრძანა, პიკარის სახლის გაჩხრეკა. დარბაზში ტაშის ცემა ასტყდა. დიდი აღელვებაა. ვექილთა უმრავლესობამ უკმაყოფილება განაცხადა იმ ვექილთა წინაალმდეგ, რომელნიც მონაწილეობას არ იღებდნენ საქმეში და ვიდრე კრება შესწყდებოდა, ზოგი თანაგრძნობას უცხადებდა პიკარს და ზოგიც წინაალმდეგობას. ღონისძიება იქმნა მიღებული, რომ სასამართლოს გარშემო, სადაც დიდძალი ხალხი იყო შეკრებილი, უწესოება რამ არ მომხდარიყო. წესიერება რომ დამყარდა, ლაბორისა და პელიეს ცხარე ლაპარაკი მოუვიდათ. პელიე ამტკიცებდა, მათე დრეიფუსს არავითარი დამტკიცება არ წარმოუდგენია ესტერგაზის დანაშაულობისა. ლაბორი თხოულობს, ჩვენება ჩამოართვით იმ აგენტს, რომელმაც ბორდერო მოიტანაო. მაიორი ლოტი უპასუხებს, ეს უბრალო დამტარებელი არის ქაღალდებისა, რომელიც ვერაფერ ჩვენებას ვერ მოგვცემსო. ლაბორი უსაყვედურებს რავარის, საქმე კარგად ვერ გამოიძიეო. რავარი უპასუხებს: „სამხედრო გამოძიება ისე არა სწარმოებს, როგორც თქვენი“. (ხმაურობა ასტყდება). პიკარი აყვედრის რავარისა, ცილის წამებით სარგებლობთო. თავმჯდომარემ კრება შესწყვიტა. მიმავალს პიკარს ზოგი ტაშს უკრავს და ზოგი უსტვენს. დიდი არეულობა მოხდა. ერთმა კაცმა სილა შემოჰკრა ერთს ვექილს. ხალხის გამოსვლის დროს გარედ უწესოება არა მომხდარა-რა, რამდენიმე ცნობის მოყვარე ხალხი ჰყვიროდა.

1 თებერვალი

**პარიჟი.** ზოლას საქმე. სასამართლოს დარბაზი სავსეა. კრება დაიწყო 12 ს. და 20 წ. კვლავ მიიწვიეს პიკარი, რომელმაც სთქვა, ზოლა სამხედრო სასამართლოს იმაში კი არ ამტყუვნებს, რომ ესტერგაზი გაამართლა ბრძანების მიხედვით, არამედ იმაში, რომ ყველა საბუთის ქაღალდები არა ყოფილა მიღებული მხედველობაში. თავმჯდომარის ბრძანებით პიკარმა სთქვა, რომ ლებლუა 15 ჯერ იყო ჩემს კაბინეტში, მაგრამ ის-კი ტყუილია, ვითომ მე ქაღალდი მეჩვენებინოს მისთვის, სადაც ვითომ სწერია სიტყვები „ეგ ავაზაკი დ.“ პოლკოვნიკი ანრი ამტკიცებს, ეგ საბუთის ქაღალდი სტოლზედ იყოვო. გენერალი გონზი და მაიორი ლოტიც ამასვე ამტკიცებენ. ლებლუა ურსა ჰყოფს ამას. ლაბორი ამბობს, ანრისა და რავარის სიტყვები ერთმანეთის წინაალმდეგი არისო. ანრი მივიდა ვექილთან და უთხრა: „მე ნებას არ მოგცემთ ეჭვის თვალით შეჰხედოთ ჩემს ჩვენებას“. პიკარი ეწინაალმდეგება ანრის, რომელიც ამბობს: „მე ვამტკიცებ, რომ პიკარი სტყუის“. პიკარი თავს იმართლებს და ამბობს, მე მსხვერპლი ვარ ჩემის სამართლიანის ქცევისაო. მერე სხვა მოწმებს ჩამოართვეს ჩვენება, მათ შორის დემანჟს.

**პარიჟი.** 31 იანვარი („გავასის სააგენტოსაგან). ზოლას საქმე. რანკმა განაცხადა, რომ ზოლას წერილი ამტკიცებს იმის დიადს გულს და სიმამაცეს. ლიტერატორი ჟინარიც ამ აზრისაა. დეპუტატმა ჟორესმა სთქვა, რომ სამინისტრომ ამ საქმეში დიდი სისუსტე გამოიჩინაო. ეხლა სდევნიან იმ კაცს (ზოლას), რომელმაც უსაყვედურა მთავარ შტაბს ის სუსტი საქციელი, რომლის გამოც შეიძლება მომავალში უბედურება რამ მოხდეს. (დიდი არეულობა).

**ლონდონი.** ინგლისის სასამართლომ 18 თვით დაპატიმრება მიუსაჯა რუსეთის ემიგრანტს ბურცევს, რომელიც ხალხს აჯანყებდა, ამ საქმეში გარეულს ვერებიცკის ორი თვით მუშაობა მიუსაჯა.

**პარიჟი.** სასამართლოდგან გამოსულ აფიცრებს ხალხი ყვირილით მიეგება „გაუმარჯოს რესპუბლიკასაო“! ხმა დადის, რომ პიკარმა სეკუნდანტები გაუგზავნა ანრის, რომელმაც ურჩყო იმისი ჩვენება სასამართლოში.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატა. ერნესტმა წინადადება წარადგინა დრეიფუსის საქმის შესახებ. ბილიომ სთქვა, ამაზედ ბჭობას მხოლოდ მაშინ ვიქონიებთ, როცა ზოლას საქმე გადაწყდებაო. მინისტრი ეხლავე თავს იმართლებს იმ ცილის წამებისაგან, ვითომ დრეიფუსის სახლობასთან მიწერ-მოწერა ჰქონდა და ამბობს, დრეიფუსი სამართლიანად დაისაჯაო. მილინი თხოულობს, რომ ამ საქმის გარჩევა გადადებულ იქმნას ზოლას საქმის გათავებამდე. პალატამ ეს შეიწყნარა.

2 თებერვალი

**პარიჟი.** სებასტიან ფორმა სიტყვა წარმოსთქვა მონპარანსის ჯარის წინაალმდეგ. რამდენმამე ანარქისტმა სიტყვები წარმოსთქვეს და ჰყვიროდნენ: „შორს ჩვენგან ჯარი!“ საღამოთი რამდენიმე მანიფესტაცია მოხდა ლათინთა უბანში, ს. ანტუანისა და მანმარტრის უბანში. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს; მაგრამ მაშინვე გაანთავისუფლეს.

ზოლას საქმე. ექსპერტი ბერტილიონი ამტკიცებს, რომ ბორდერო დრეიფუსის მიერ არის დაწერილიო და თან დასძენს, ამას დავამტკიცებ კიდეც, თუ წარმომიდგენენ იმ საბუთის ქაღალდებს, რომელიც 1894 წელს წაიღეს დრეიფუსის სახლიდგანაო. ლაბორი ჰკითხავს იმ საბუთის შესახებ, რომელიც დასჭირდა ბერტილიონს ექსპერტიზის დროს. ბერტალიონი ამბობს, რომ ამ ქაღალდების შესახებ მხოლოდ მაშინ შემიძლიან ვსთქვა რამე, თუ სასამართლო მიბძანებსო. თავმჯდომარე ამბობს, ეგ სასამართლოს საქმე არ არისო. „მაშ იუსტიციის მინისტრმა უნდა მომცეს ამის ნებაო, — სთქვა ბერტილიონმა“. მაშინ დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ მაგის ნება-რთვას არ მოგცემენო, — ამბობს ლაბორი. საქმის გარჩევა ორშაბათამდე გადიდო.

**ბრიუნი.** გარდაიცვალა გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი გრაფი კალნოკი.

**პარიჟი.** სენის დეპარტამენტის საპლებისციტო კომიტეტები შეიკრიბნენ. ხალხი რომ იშლებოდა, გაისმა ყვირილი: „გაუმარჯოს საფრანგეთს! გაუმარჯოს ჯარს! გაუმარჯოს იმპერატორს!“ რამდენიმე კაცი დააპატიმრეს. უწესოება არა მომხდარია რა.

3 თებერვალი

**პეტერბურგი.** შინაგან-საქმეთა მინისტრმა აუკრძალა ცალკე ნომრების გაყიდვა გაზეთს „Гласность“-ს.

**პარიჟი.** სასამართლოს კარრიდორებში დღეს უფრო ნაკლები ხმაურობაა, ვიდრე წინა დღეებში. ზოლა ისე მოვიდა, რომ არაფერი შეჰმთხვევია. სასამართლოს დარბაზში ხალხი კოტაა. ერთობ ეტყობა დაწყნარება შედარებით. სამართალმა მოქმედება დაიწყო 12 საათსა და 15 წუთს. პრეზიდენტი ჰკითხულობს წერილებს სენატორის ლეპროვო დ-ელეონესას, ჟურნალისტ პაპილოსას, რომელნიც უარ ჰყოფენ ჟორესის ნათქვამს, ვითომც ამათ ეთქვათ ჟორესისათვის, რომ ესტერგაზი ავტორია ბორდეროსი. ლაბორი უარ-ჰყოფს გაზეთების ნათქვამს, რომელნიც სწამებენ, რომ იგი გერმანელია და ცოლად ებრაელი ჰყავს. ხელმეორედ კითხული ჟორესი ამტკიცებს, ვითომც პაპილომ მითხრაო, დარწმუნებული ვარ, რომ ესტერგაზი დამნაშავეაო. შემდეგ კითხულ იქმნა ექსპერტი ბარტილიონი. იგი შეუძლებლად ჰხადის სთხოვოს სამხედრო მინისტრს ნებართვა წარუდგინოს სასამართლოს დოკუმენტი შესახებ დრეიფუსის განსამართლებისა. ვექილები ამას ეწინაალმდეგებიან. ლაბორიმ უსაყვედურა ბარტილიონს, რომ არა ჰსურს სამართლის წინაშე სთქვას რამე და გაზეთებს კი ეუბნება. ბარტილიონი უპასუხებს, რომ გაზეთები თვითონ იგონებენო. ლაბორი ჰკითხავს ბარტილიონს: გინახავთ თუ არა საიდუმლო დოკუმენტები, ან მათი ნაწყვეტ-ნაწყვეტი დრეიფუსის ხელისაო. პასუხი: მე არ მინახავს საიდუმლო დოკუმენტები. ლაბორი: მაშ აგვიხსენი ჩვენ მთელის ევროპის წინაშე, რომელიც ჩვენ შემოგვყურებს, რა გზით მოახდინეთ, რომ დაუმტკიცეთ სამხედრო სამართალს, რომ ბორდერო დრეიფუსის ხელით არის დაწერილი? ბარტილიონი უპასუხებს, მე ამას მარტო იმ დოკუმენტებით თუ მოვახდენდი, რომელიც ეხლა ხელთ არა მაქვს (ხმაურობაა). ვექილები სთხოვენ გენერალ-პროკურორს დაავალოს მოწამეს პასუხის თქმა. გენერალ-პროკურორი ხმას არ იღებს. ვექილებმა დაუწყეს ბარტილიონს ხელახლად გამოკითხვა, ბარტილიონი მტკიცედა სდგას უარზე და გადის დარბაზიდამ, ხანგრძლივი ხმაურობით გაცილებული. დეპუტატი გუბბარი ამბობს, რომ ჩემი ბიძა-შვილი ბარტილიონი ყოველთვის მარწმუნებდა, რომ დრეიფუსია მარტოდ-მარტო დამნაშავე და ამასთან უმატებდა, რომ არ უნახავს ხელთ-ნაწერი ესტერგაზისა ასე, რომ გადასინჯვა დრეიფუსის საქმისა გადასინჯვა იქნება მთელის სოციალურ წყობილებისაო. გუბბარი ამბობს, რომ გენერალმა იუნგმა მითხრაო, რომ დრეიფუსის საქმისა გამო, რაც სამხედრო სამინისტროში მოხდა, საშინელებააო (ხანგრძლივი მოძრაობა ასტყდა). შემდეგ ამისა კითხული ივ გუიო ამბობს, რომ განსამართლება ესტერგაზისა ბერეკაობა იყო მართლ-მსაჯულებისაო. (ხმაურობაა). უცხოთა მთავრობათა კარგად იციან, რა იფიქრონ ესტერგაზის საქმის გამო. (ხანგრძლივი მოძრაობაა). მოწამე უმატებს, რომ მთავრობის კამისარი უფრო მოსარჩლე იყო ესტერგაზისა, ვიდრე ბრალმდებელიო. ივ გიუ დიდის მხურვალებით იმოწმება, რომ ყველა კარგი კაცი ერთსა და იმავეს ჰგრძნობს, რასაც ზოლაო. მოიწვიეს ექსპერტი ხელთ-ნაწერისა ტეისონიერი, რომელსაც უსინჯავს ბორდერო, ვითომდა დრეიფუსის ხელისა, მოწამე ამტკიცებს, რომ სახელწოდება განგებ შეკეთებულია იმ აზრით, რომ ესტერგაზის ხელს ამსგავსონ. ტეისონიერი ამბობს, რომ ექსპერტმა კრეპიე მკაუენმა ერთხელ მკითხაო: „რა მოგიტანა დრეიფუსის საქმემაო“. მე ვუთხარიო, 200 ფრანკიო. „მაგ საქმეს შეეძლო მოეტანა თქვენთვის 100 ჹ 200 ათასი ფრანკიო“. მეო გულის წრომით მოვექეცი ამ უწმინდურებასაო. სამართალი ცოტას ხნობით შეაჩერეს. დარბაზი დაწყნარებულია. არაფერი ამბავია. დარჩათ კიდევ გამოსაკითხი 30 მოწამე. ხელახლად დაიწყო სამართალმა მოქმედება. ტეისონიერი ხელახლად მოიწვიეს. პრეზიდენტისა და ვექილების გამოკითხვაზე უპასუხა, რომ გადაკვრით მანიშნეს, რომ შესაძლოა დიდი ფული მიიღო, თუ შენს მოხსენებას შესცვლი დრეიფუსის სასარგებლოდაო. მოწამე ამბობს, რომ ხელი ბორდეროსი განგებ იყო შეშლილიო.

—✦✦—

Дозволено цензурою, Тифлисъ 3-го Февраля 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.